

ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

XXIII





გამოცემა ეძღვნება
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ის
დაბადებიდან 90
და აღსაყდრებიდან 45
წლისთავს

* * *

The Publication is Dedicated to the
90th Birthday of Catholicos-Patriarch of All Georgia
Ilia II
and the
45th anniversary of His Enthronement



საპარამოქროს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA



ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

Anzor Erkomaishvili Folklore State Centre

ფონდი ქართული გალობა

Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა
ანთოლოგია
ტომი XXIII

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

დიდი ხუთშაბათის საგალობლები

Georgian Chant

Anthology

Volume 23

The Chant Tradition of Western Georgia

The Chants of Great Thursday

თბილისი

Tbilisi

2022



ანთოლოგიის XXIII ტომში წარმოდგენილია ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებში და, ასევე, ქორიძის გამოცემებში მოცემული დიდი ხუთშაბათის საგალობლები — ამ დღის ლიტურგიკულ განგებათა ყველა ჰიმნი, ღვთისმსახურების „სრულიად გალობით“ შესასრულებლად. ხსენებული ხელნაწერები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრებში. მოცემულია როგორც რთული, „გამშვენებული“, ისე მარტივი სტილის ჰიმნები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა პირველად გამოიცემა. XXIII ტომში, ასევე, შესულია ანთოლოგიის შემდგენელ-რედაქტორთა მიერ შესაბამის მელოდირ დედებზე, სამგალობლო ტრადიციის შესაბამისად განყობილი ნიმუშებიც (მაგ., ძლისპირების გარდასათქმელები, ფსალმუნის მუხლები და ა.შ.). დიდი ხუთშაბათის სრული სამგალობლო ციკლი, ქართული მუსიკის ისტორიაში პირველად გამოიცემა. ვფიქრობთ, წინამდებარე კრებული გამოადგება და დაინტერესებს ქართული გალობის ყველა მცოდნესა და მოყვარულს.

Presented in Anthology Volume 23 are the chants for Great Thursday shown in the manuscripts of Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze, and in Koridze's publications — all the hymns for the liturgical services of this day in order to perform the services entirely through chanting. These manuscripts are kept at the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts and the Anzor Erkomaishvili Folklore State Center. There are hymns in the complex, gamshvenebuli (ornamented), as well as in the simple styles. The absolute majority of these hymns is being published for the first time. There also are some works arranged by anthology editors to their original corresponding source melodies in accordance with the chant tradition in Volume 23 (for example, heirmois troparia, Psalm verses, etc.). The complete chant cycle for Great Thursday is being published for the first time in the history of Georgian music. It is thought the current collection will be useful and of interest to all those knowledgeable in and in love with Georgian chant.

იდვის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and project leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

XXIII ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compilers and musical editors of Volume 23: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author of introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორი: რუსუდან წურწუმია
Editors: Rusudan Tsurtsunia

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი
Translator: Eirik Halvorson

გამოცემაზე მუშაობდნენ: თამარ ჩხეიძე, მონღოზონი ნინო სამხარაძე, ნინო რაზმაძე, ელიზბარ ხაჩიძე
The publication was prepared by: Tamar Chkheidze, Nun Nino Samkharadze, Nino Razmadze, Elizbar Khachidze

კონსულტანტები: არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, გიორგი ბარკავა
Consultants: Archdeacon Demetre Davitashvili, Giorgi Barkava

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Computer services: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი: ნინო რაზმაძე
Project coordinator: Nino Razmadze

© ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Anzor Erkomaishvili Folklore State Centre

© ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)
ISMN 979-0-802101-81-4 (ოცდამესამე ტომის)

შესავალი

ანთოლოგიის XXIII ტომში წარმოდგენილია, ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებში და, ასევე, ქორიძის გამოცემებში მოცემული დიდი ხუთშაბათის საგალობლები. ხსენებული ხელნაწერები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრებში.

წინამდებარე ტომში შესულია დიდი ხუთშაბათის ჰიმნები 31 სანოტო წყაროდან. ესენია:

ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან:

- | | |
|---------------|-----------|
| 1. H154-I; | 12. Q680; |
| 2. 154-II; | 13. Q683; |
| 3. H154-III; | 14. Q685; |
| 4. H154-VIII; | 15. Q686; |
| 5. H154-IX; | 16. Q687; |
| 6. Q668; | 17. Q688; |
| 7. Q670; | 18. Q689; |
| 8. Q672; | 19. Q690; |
| 9. Q673; | 20. Q691; |
| 10. Q674; | 21. Q693. |
| 11. Q677; | |

ხელნაწერები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან:

1. ხუნდაძე, 2100;
2. ხუნდაძე, 2106;
3. ხუნდაძე, 2120;
4. ხუნდაძე, 2121;
5. ხუნდაძე, 2122;
6. ხუნდაძე, 2124;
7. ხუნდაძე, 2127;
8. ხუნდაძე, 2128.

სანოტო გამოცემები:

1. ქორიძე, 1899;
2. ქორიძე, 1901.

დიდი ხუთშაბათის საგალობლები ამ წყაროებში სხვადასხვა პრინციპითაა მოცემული — ზოგან ჰიმნები დაჯგუფებულია საგანგებოდ ამ დღისათვის, ზოგან კი, სხვა დღეებისა და განგებების ჰიმნთა შორის არის ჩანერილი ან გამოცემული. ზოგიერთი ჰიმნი სრულად, სამ ხმაშია ნოტირებული, ზოგი — ცალ ხმაში, II—III ხმების

გარეშე. გვხვდება საგალობლები, რომლებიც რამდენიმე ვარიანტის სახითაა შემორჩენილი, ზოგიერთი კი, მხოლოდ ერთ ვარიანტადაა შემონახული.

ჩვენ ყველა ეს საგალობელი გამოვკრიბეთ და, ბოლო საუკუნეებში ჩვენი ეკლესიის ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებული „მარხვანის“ მიხედვით, თანმიმდევრობით დავალაგეთ. ამასთან, დიდი ხუთშაბათის მსახურების წინამდებარე პარტიტურის მომზადებისას, მიზნად დავისახეთ, ეს კრებული, საგალობელთა გადამრჩენლების — ფ. ქორიძის, ძმები კარბელაშვილების, ე. კერესელიძისა და რ. ხუნდაძის ხელნაწერებისა თუ გამოცემების კონცეფციების გამგრძელებელი ყოფილიყო — კერძოდ, ამ ტომში მოცემულია დიდი ხუთშაბათის ყველა განგების — მცირე სერობის,¹ ცისკრის, პირველი ყამის, მწუხრის და ფერხთაბანვის ყველა საგალობელი.

ვნების შვიდეულის ბოლო სამი დღის — დიდი ხუთშაბათის, დიდი პარასკევისა და დიდი შაბათის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო და ამ დღეების ღვთისმსახურებათა ლიტურგიკული და მუსიკალურ-ესთეტიკური სრულყოფილების მიზნით, მათდამი მიძღვნილი ანთოლოგიის ტომები ღვთისმსახურების „სრული გალობით“ ჩატარების ტრადიციის ამსახველია — როდესაც გუნდების მიერ ანტიფონურად იგალობებოდა ყველა ლიტურგიკული ტექსტი, გარდა სამღვდელთა ლოცვა-ასამალვებებისა და ბიბლიური საკითხავებისა. ამ ამოცანის შესასრულებლად, საჭირო გახდა „მარხვანში“ მითითებულ მელოდიურ „დედნებზე“/წყაროებზე იმ საგალობლების განყოფილება, რომლებიც სანოტო ხელნაწერებში შემონახული არაა. უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დღეთა შუა საუკუნეებიდან მომდინარე საგალობელთა უმრავლესობა, ჩვენი წმიდა და დიდი წინაპრების მიერ ნოტირებულია XIX—XX საუკუნეებში. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც ჰიმნთა გარკვეული რაოდენობა ნოტირებული არაა, სანოტო ხელნაწერებში იძებნება ის მელოდიური „დედნები“, რომელთა ჰანგზეც უნდა გაეწყოს ნოტებში ჩაუნერელი, „მარხვანში“ მოცემული ჰიმნები. პირველ რიგში, ასეთ საგალობელთა რიცხვს მიეკუთვნებიან გალობათა „გარდასათქმელები“, რომლებიც, მრავალ-საუკუნოვანი ტრადიციის თანახმად, უნდა იგალობებოდეს კონკრეტული ძლისპირების მელოდიებზე — ანუ, გარდასათქმელების პოეტური ტექსტები კონტრაფაქტურის პრინციპით უნდა დაედოს, გაეწყოს ძლისპირთა მუსიკაზე. საბედნიეროდ, XIX—XX საუკუნეთა გასაყარზე ლიტურგიკულ-სამგალობლო წიგნებში მოცემული ძლისპირების აბსოლუტური უმრავლესობის ნოტებზე გადატანა მოესწრო. ისინი ანთოლოგიის არაერთ ტომშია უკვე გამოცემული (განსაკუთრებით ბევრია ძლისპირები VI—IX, XI, XIV—XVII ტომებში) და მომდევნო ტომებშიც დაიბეჭდება.

ძლისპირებისა და მათი გარდასათქმელების გარდა, წინამდებარე ტომში, კონტრაფაქტურის პრინციპით აწყობილი სხვა საგალობლებიცაა მოცემული. ასეთ

¹ დიდ ხუთშაბათს მცირე სერობა ტარდება ორჯერ (განსხვავებული საგალობლებით) — ერთხელ ცისკრის წინ, ხოლო მეორედ — მწუხრთან შეერთებული ლიტურგიის შემდეგ. წინამდებარე ტომში ორივე განგების საგალობელია სრულად მოცემული.

შემთხვევებში დავეყრდენით „მარხვანში“ და სხვა საღვთისმსახურო წიგნებში უხვად მითითებული „მსგავსის“, მელოდიური „დედნების“ სისტემას.

როგორც ცნობილია, კონტრაფაქტურული კომპოზიციური პრინციპი შუა საუკუნეების ყველა ქრისტიანულ მუსიკალურ-ლიტურგიკულ ტრადიციას ახასიათებდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს ტექნიკა ზეპირი ან ნახევრად-ზეპირი ქმნადობა-გადაცემის მქონე მუსიკალური ტრადიციებისათვის. „მსგავსის“ ტექნიკა-ტრადიცია ჩვენში ბიზანტიიდან შემოვიდა. საგალობელთა წიგნებში ამა თუ იმ ჰიმნზე, ხშირად განსხვავებული ფერის მეღნიით, მითითებულია მისი მელოდიური დედანი — დასახელება საგალობლისა, რომლის მუსიკითაც უნდა ინტონირდეს ამ საგალობლის პოეტური ტექსტი. ამ ტრადიციის თანახმად, დედანი ჰიმნს ბერძნულად Automelon (ქართულად Auto — თვით, melon — მელოდია) ეწოდებოდა, ხოლო მის ჰანგზე განწყობილ საგალობელს — Prosomoion — „მსგავსი“.² სხვადასხვა ეპოქის ბიზანტიურ, ასევე, შუა საუკუნეების ქართულ, სერბულ, ბულგარულ თუ აღმოსავლეთის სლავურ ტრადიციებში, ეს სისტემა ვითარდებოდა, იცვლებოდა; მასზე ზემოქმედებდა და მასში განსხვავებულად ფუნქციონირებდა ისეთი ფაქტორები, როგორცაა, ენობრივ-სამეტყველო მახვილები, პოეტური ტექსტის ფორმა და ტაეპთა მარცვლედოვნება, რვა ხმის სისტემა, ლიტურგიკულ-სამგალობლო ჟანრები, მონოდია და მრავალხმიანობა და ა.შ..

დღეისათვის საკითხი, თუ რა დამოკიდებულება იყო ბერძნულ „იდიომელონს“, „აუტომელონს“ და „პროსომოიონს“ და ქართულ თუ სლავურ იმავე ფენომენებს შორის, უფრო ღრმა კვლევას მოითხოვს. მაგ. სამგალობლო-სანოტო ჩანაწერებში გვხვდება ტერმინი „თვით-სამსგავსო“ (იხ. ანთ., ტ. VII:301), რაც Automelon-ის ქართულ შესატყვისადაა მიჩნეული თანამედროვე ქართულ მუსიკოლოგიაში. ამასთან, საგალობელთა წიგნებში და ქორიქე-კერესელიძისა თუ კარბელაშვილთა ჩანაწერებში საკმაოდ ხშირადაა შემთხვევები, როდესაც, „თვითხმოვანი“ ეწოდება რვა ხმის სისტემის, დასდებელთა თუ ტროპრების ჰანგის მქონე ნიმუშებსაც. ამის მაგალითები წინამდებარე ტომშიც მოიპოვება. ჩვენ, „მარხვანში“ მოცემული „თვითხმოვანის“ ყველა აღნიშვნა გადმოვიტანეთ საგალობელთა სათაურებთან. გაურკვეველია, ასეთ შემთხვევებში უნიკალური „თვით-ავაჯი“ ძველი ქართული ჰანგების დაკარგვასთან და ამის გამო, გვიანი საუკუნეების მგალობელთა მიერ რვა ხმის საზოგადო ჰანგების გამოყენებასთან გვაქვს საქმე, თუ ტერმინთა (ავტომელონისა და იდიომელონის) აღრევასთან. შესაძლოა, „თვითხმოვანმა“ საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელობა

² ასევე, არსებობს ტერმინები „თვით-ხმოვანი“ და „თვით-ავაჯი“ — ბერძნული Idiomelon-ის შესატყვისი (idio — უნიკალური, ერთადერთი, საკუთარი, განსაკუთრებული; melon — მელოდია). ეს იყო დასახელება ისეთი საგალობლისა, რომლის ჰანგიც იყო უნიკალური, არ იყო რვა ხმის სისტემის საზოგადო ჰანგთა ფონდიდან, არ მეორდებოდა სხვაგან, სხვა ტექსტების გასამღერებლად — ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს, მაგ., გიორგი მთაწმინდელის ნაშრომებში. ღრმა კვლევას მოითხოვს საკითხი, თუ რა მიმართებაა ქართულ „თვითხმოვანსა“ და „თვით-ავაჯს“ და ბერძნულ „იდიომელონსა“ და „ავტომელონს“ შორის. გალობის ისტორიული განვითარების თავისებურებების გამო, დღეისათვის ამ ტერმინთა და მათი ურთიერთმიმართების, ასევე, რვა ხმის და სხვადასხვა სამგალობლო ჟანრის სისტემასთან მათი მიმართების ზუსტი და ამომწურავი მნიშვნელობა და შინაარსი ბოლომდე დადგენილი არაა.

შეიცვალა კიდევ და ეს ტერმინი ეწერებოდა იმ საგალობლებს, რომლებიც, „მსგავსის“ კონტრაფაქტურული ტექნიკით იგალობებოდნენ. შესაძლოა, „თვით-ავაჯი“ და „თვით-ხმოვანი“ თავიდანვე სხვადასხვა ტერმინები იყო. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ტერმინს კი თარგმნიდნენ ძველები ქართულად, მაგრამ, „თვით-ავაჯ“ ბერძნულ საგალობლებს, ქართული რვა ხმის სისტემის ჰანგებს უსადაგებდნენ და არ ქმნიდნენ ახალ ქართულ ჰანგებს. ასეა თუ ისე, ჩვენ, ტერმინ „თვითხმოვანს“ ყველგან ვთარგმნით, როგორც *Idiomelon*-ს; ხოლო საკითხს, თუ რატომაა ეს განსაზღვრება, ან რა იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ, ამა თუ იმ კონკრეტულ საგალობელთან, ღიას ვტოვებთ. „თვითხმოვანთა“ და „მსგავსთა“ ქართული სისტემის შესასწავლად, აუცილებელია ძველი ქართული ნევმირებული თუ „ჭრელთა“ და სანოტო ჩანაწერების შედარებითი, ღრმა ანალიზი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნახევრად-ზეპირი თუ ზეპირი ქმნადობა-გადაცემის პირობებში და ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით, როგორც ბიზანტიურ, ისე ქართულ თუ სლავურ სამგალობლო პრაქტიკაში, ბევრი რამ, იკარგებოდა, ხოლო ბევრი რამ, ასე ვთქვათ, „თეორიული იდეალის“, ძველი ტრადიციული თეორიისაგან განსხვავებით ვითარდებოდა და მოვიდა ჩვენამდე (კაცმა რომ სთქვას, ამანაც შეჰქმნა ის მუსიკალური მრავალფეროვნება და სიმდიდრე, რაც ალაფრთოვანებს გალობის მოყვარულთ, შემსრულებლებსა თუ მკვლევართ, საბერძნეთშიც, ევროპაშიც თუ საქართველოშიც).

იმის მიუხედავად, თუ როგორ გავიგებთ „თვითხმოვანის“ („აუტომელონის“ თუ „იდიომელონის“) და „მსგავსის“ ცნებებს და მათ გამოვლენებს ქართულ ლიტურგიკულ-სამგალობლო ნიგნებში, ნევმურ თუ სანოტო სამგალობლო მემკვიდრეობაში, ერთი რამ შეიძლება ითქვას — საბედნიეროდ, ჩვენი დიდი წინაპრების წყალობით, ნოტირებული სახით შემორჩენილი გვაქვს აბსოლუტური უმრავლესობა იმ საგალობლებისა, რომლებიც სამგალობლო ნიგნებში („მარხვანი“, „სადღესასწაულო“, „პარაკლიტონი“, „ზატიკი“) სხვა ჰიმნების მელოდიურ დედნებად არიან დასახლებულნი. სწორედ ამ გარემოების მეოხებით, შესაძლებელი გახდა, დიდი ხუთშაბათის, პარასკევისა და შაბათის ყველა იმ ჰიმნის ნოტირება, რომლებიც XIX—XX საუკუნეებში ნოტებში არ ჩაუნერიათ.

ყველა ასეთი შემთხვევა, ჩვენ, ბუნებრივია, უშუალოდ პარტიტურაში, სქოლიოებში გვაქვს აღნიშნული. ეს არ ეხება ერთადერთ ყანრს — „გარდასათქმელებს“. სანოტო ხელნაწერში არაა ნოტირებული ვნების ხუთშაბათ—შაბათის არც ერთი გარდასათქმელი, გარდა დიდი ხუთშაბათის ცისკრის V გალობის გარდასათქმელებისა — №72 „უთვისოსა მის მპყრობელი“ და №73 „მონაფეთა უჩვენებს დღეს სიმდაბლისა სახესა“ (ამ ჰიმნების მელოდიები, II—III ხმების გარეშე, ფ. ქორიძემ ჩაინერა). ამ ორის გარდა, ჩვენ ყველა გარდასათქმელი მათი ძლისპირის ჰანგზე გავაწყეთ, და დიდი რაოდენობის გამო, სქოლიოებში ამ გარემოებას აღარ ვუთითებთ.

დიდი ხუთშაბათის ჰიმნთა სანოტო ხელნაწერებში საკმაო რაოდენობითაა შემთხვევები, როდესაც მხოლოდ I ხმაა ნოტირებული. ასეთ საგალობლებთანაც,

სქოლიოში ყველგანაა აღნიშნული, რომ II—III ხმები ჩვენი შეწყობილია. ამ სამუშაოს დიდი ნაწილი ლევან ვეშაპიძის მიერაა შესრულებული — ზოგჯერ „გამშვენებული“, ზოგჯერ, „სადა“ სტილისათვის დამახასიათებელი საკომპოზიციო ტექნიკის გამოყენებით. ამასთან, არცთუ იშვიათად, მივმართავთ ტრადიციული სამუსიკო ფოლკლორისათვის ჩვეულ ფაქტურულ-ჰარმონიული ნაგებობებსაც — ცხადია, სამგალობლო ესთეტიკის კონტექსტში.

* * *

აღწერილ მეთოდს ეფუძნება როგორც წინამდებარე, დიდი ხუთშაბათის სრული მსახურების შემცველი ტომი, ისე დიდი პარასკევის მსახურებისადმი მიძღვნილი XXIV—XXV და დიდი შაბათისადმი მიძღვნილი შემდეგი ტომებიც ანთოლოგიისა.

სულ ამ ტომში დაბეჭდილია 171 საგალობელი, რომელთა დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

XXIII ტომის ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებში მოცემული სხვა დღესასწაულებისა თუ განგებების ჰიმნები, ანთოლოგიის მომდევნო ტომებში დაიბეჭდება.

ხელნაწერებში მოცემული მინაწერები თუ მითითება-აღნიშვნები უცვლელად გვაქვს გადმოტანილი სქოლიოებში, გარდა ჩვენ მიერ დარედაქტირებული ზოგიერთი ტერმინისა თუ სიტყვის მოძველებული ან არასწორი ფორმებისა და დიალექტიზმებისა.

სქოლოებში, ჰიმნთა წყაროების გვერდების მითითებისას, გამოყენებულია პროექტის „ქართული ტრადიციული საგალობლების ხელნაწერთა ბაზა“ ფარგლებში დიგიტალიზებული ხელნაწერების ფოტოების პაგინაცია.³

პოეტური ტექსტების რედაქტირებისას, დავეყრდენით, ბოლო საუკუნეებში პრაქტიკაში დამკვიდრებულ „მარხვანს“ და, აგრეთვე, ნევემირებულ ძლისპირთა ძველ ქართულ ხელნაწერს A-603 (კიკნაძე, 1982). ამ წყაროთა მიხედვით გვაქვს გასწორებული ნოტირებულ ჰიმნთა პოეტური ტექსტების ორთოგრაფიული, სინტაქსური თუ შინაარსობრივი შეცდომები. პოეტური ტექსტების სხვადასხვა წყაროში აღმოჩენილი განსხვავებები (მაგ., მორფოლოგიური) აღნიშნული არ გვაქვს, ვინაიდან ეს სცდება ჩვენს კომპეტენციას და ანთოლოგიის მიზანსა და დანიშნულებას.

ანთოლოგიის სხვა ტომების მსგავსად, წინამდებარე ტომშიც ვბეჭდავთ ზოგიერთი საგალობლის როგორც ხელნაწერისეულ, ასევე, თანამედროვე საღვთისმსახურო მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენ მიერ რედაქტირებულ ვარიანტებსაც. ასეთ შემთხვევებთან ერთად, წინამდებარე ტომში მოცემულია ცალკეული საგალობლის ისეთი „პარალელური“ ვარიანტებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან ჩვენ მიერ განსხვავებულად დასმული ალტერაციის ნიშნებით და, შესაბამისად, ჰარმონიული ელფერითა და კილოური მიხრილობით განსხვავდებიან.

³ <http://folk.gov.ge/baza/>



როგორც ანთოლოგიის სხვა ტომებში, აქაც ჩვენი სარედაქტორო ჩარევა შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რალა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

მკითხველსა და მაგალობლებს განმეორებით შევახსენებთ, რომ საგალობლების ფრაზებად და მუხლებად დაყოფა (ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეების, წყვეტილი თუ მთლიანი ტაქტის ხაზების მეშვეობით) ჩვენი რედაქტირების შედეგია (რადგანაც, ხელნაწერებში, ცეზურები, ძირითადად, ფერმატებითაა აღნიშნული, ან არაა მკაფიოდ გამოყოფილი). ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები...) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა. ისეთ აგოგიკური და ექსპრესიული ნიუანსებს, რომლებიც ხელნაწერში მხოლოდ ქართულადაა ჩანერილი, ყველგან მიუზუნერეთ საერთაშორისო, იტალიური შესატყვისი.

დედნისეული ტექსტის ყველა სხვა ცვლილება შენიშვნებში გვაქვს ასახული.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, წინამდებარე ტომში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

* * *

დიდი ხუთშაბათის ღვთისმსახურების თემატიკა, მაცხოვრის გამომხსნელი მისიის შემადგენელი განსაკუთრებული, ამ დღეს აღსრულებული მოვლენებია — დიდ ოთხშაბათს დაწყებული იუდას ღალატი, რომელიც მძაფრდება, ხორცშესხმულ საქმედ იქცევა და საზარელ ნაყოფს გამოიღებს სწორედ ხუთშაბათს; მოწაფეთათვის ფეხების დაბანა ღვთაებრივი მოძღვრის მიერ; მისტიკითა და სიყვარულით აღსავსე საიდუმლო სერობა; წმინდა ზიარების საკრამენტის დაწესება, რომელიც გულის-გულია ადამიანისა და ღმერთის სიყვარულისა და თავისი არსით, გოლგოთის მისტერიის მარადიული აღსრულებაა, — როდესაც ღვთაებრივი სისხლი იღვრება კაცობრიობის მაცოცხლებელ ღვინოდ და ღვთაებრივი სხეული ჯვარცმითა და წამებით განიტყვება გადამრჩენელ პურად, ყველა კეთილის მოსურნე ადამიანისათვის. ამ თემებზე მსოფლიო მუსიკალურ კლასიკაში არაერთი სწორუპოვარი შედეგია შექმნილი. ქართული საგალობლების ჩვენამდე მომტანების საქებრად და სამადლობლად, უნდა ითქვას, რომ საგალობელთა ღმობიერებითა და სიმშვიდით გასხივოსნებული, თავშეკავებული და ასკეტური მშვენიერების მიღმა, მთელი ძალით შეიგრძნობა დიდი ხუთშაბათის ღვთაებრივი მისტერია. ეს საგალობლები, ქართული სამგალობლო მემკვიდრეობის ერთ-ერთ გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენენ. ამ მემკვიდრეობის მხატვრულ-ესთეტიკური მწვერვალი კი, დიდი პარასკევისა და ბრწყინვალე აღდგომის ჰიმნებია, რომელთა შესახებაც, აქ აღარ ვისაუბრებთ.

სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი



გამოყენებული და დამონმებული ლიტერატურა და სანოტო გამოცემები

1. კიკნაძე, გულნაზ (შემდგ.). (1982). *ნევმირებული ძლისპირნი: ხელნაწერი A-603*. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი: მეცნიერება;
2. „მარხვანი“, ტრიოდინი, რომელ არს სამ-საგალობელი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა, ქ. ტფილისი: 1901 წელი;
3. ქორიძე, ფილიმონ. (1899). *მიცვალებულთა საგალობელი // პარტიტურა №3 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდელოების ხარჯით, გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან // ტფილისი: გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ვ. გძელიძისა, 1899;*
4. ქორიძე, ფილიმონ. (1901). *საგალობელნი პირველ შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა // პარტიტურა №2 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდელოების ხარჯით გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან; სარჩევში რომელ საგალობელსაც ვარსკვლავი უზის, გურიაშია დაწერილი და გადმოცემულია ანტონ ნ. ღუმბაძისაგან // ტფილისი: გამოცემა მ. შარაძისა და აშხ. (ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ე. გრძელიძისა), 1901;*

გამოყენებული და დამონმებული სანოტო ხელნაწერები

1. H154-I — *გურიაში დაწერილი რვეულები. პირველი 1, 2, 3, 4, 5-თე. სძლისპირნი*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
2. H154-II — *გურიაში დაწერილი. პეტრე-პავლობის გალობა, მიძინების გალობა, თავისკვეთის გალობა, ტაძრად მიყვანების გალობა, ფერისცვალების გალობა, ღვთისმშობლობის საგალობელნი. მ. შარაძის და ე. კერესელიძის მიერ საფასით. რვეული მეცხრე და მეათე*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
3. H154-III — *ღვთისმშობლის მიძინების გალობა და შობის საგალობელნი 25 დეკემბრის. გურიაში დაწერილი მ. შარაძის და ე. კერესელიძის საფასით*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
4. H154-VIII — *თბილისში დაწერილი გალობა, ა. ქ.-ს [არისტოვლე ქუთათელაძის] მიერ გადმოცემით, რვეული მეთექვსმეტე [საუფლო და დიდ დღესასწაულთა და ვნების კვირის საგალობლები]*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

5. H154-IX — *რვა ხმა ალილუია (ღმერთი უფალის მაგიერი); რვა ხმა სამწუხრო დასდებელნი. გურიაში დაწერილი. მ. შარაძის და ე. კერესელიძის ხარჯით. რვეული მეჩვიდმეტე. ფილიმონ ქორიძისა და ე. კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
6. Q668 — *პარტიტურა მესამე. დიდ-მარხვის საგალობლის პარტიტურა. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
7. Q670 — *პარტიტურა მეხუთე. მიცვალებულის საგალობლების პარტიტურა. პარტიტურა მეხუთე (1893). ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
8. Q672 — *სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა სამწუხრო საგალობელნი. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
9. Q673 — *სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა პარაკლიტონი. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
10. Q674 — *სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელმთავართათვის. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
11. Q677 — *მეორე წიგნი, ქუთაისში დაწერილი რვეულები პირველი, მეცხრე და მერვე, სამ ხმაზე განყოფილი [იოანე ოქროპირის სამღვდელმთავრო წირვის, მიცვალებულთა, ბასილი დიდის წირვის და მღვდლის კურთხევის საგალობლები]. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
12. Q680 — *მეხუთე წიგნი. ქუთაისში დაწერილი. რვეული მეხუთე. სამ ხმაზე განყოფილი [დიდი მარხვისა და ვნების კვირის საგალობლები]. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
13. Q683 — *მერვე წიგნი [წირვის, მწუხრის, ცისკრისა და დღესასწაულთა საგალობლები]. ფილიმონ ქორიძისა (?) და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
14. Q685 — *მეათე წიგნი, გურიაში დაწერილი რვეულები მეექვსე, მეშვიდე და მეთოთხმეტე [ცისკრისა და წირვის საგალობლები]. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
15. Q686 — *მეთერთმეტე წიგნი. გურიაში დაწერილი რვეულები მეთერთმეტე და მეთექვსმეტე [გალობა, მარხვან-შეხვეტილიანი. სხვადასხვა საგალობლები]. ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*

16. Q687 — *მეთორმეტე წიგნი [ძლისპირები და სხვადასხვა საგალობლები]*. ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
17. Q688 — *მეცამეტე წიგნი [მწუხრის, ცისკრისა და წირვის საგალობლები]*. ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
18. Q689 — *წიგნი მეთოთხმეტე, სძლის-პირთა საგალობელნი*. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
19. Q690 — *წიგნი მეთხუთმეტე. 15 რვეული არის ამ წიგნში ერთად მოთავსებული არისტოვლე ქუთათელასაგან გადაცემული და ფილიმონ ქორიძისაგან გადაღებული. დაწყებულია 1904 წ. გათავდა 1905 წ. [საუფლო დღესასწაულების, დიდი მარხვისა და პარაკლიტონის საგალობლები]*. ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
20. Q691 — *ამ წიგნში მოთავსებულია 7 წიგნი 18-დან 24-მდე. სრული საგალობელნი შვიდი დღესასწაულისა: 8 სექტემბერს ღვთისმშობლობისა, 21 ნოემბერს ტაძრად მიყვანებისა, 25 დეკემბერს ქრისტეს შობისა, 29 ივნისს პეტრე-პავლობისა, 15 აგვისტოს მიძინებისა, 29 აგვისტოს თავის-კვეთისა, 6 აგვისტოს ფერის-ცვალებისა*. ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
21. Q693 — *ოცდამეექვსე წიგნი. თორმეტი საუფლო სადღესასწაულო საგალობელნი, დასდებელნი და ფსალმუნთა წარდგომანი და რვა ხმა პარაკლიტონის გალობანი*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
22. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2100. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
23. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2106 ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
24. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2120. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
25. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2121. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
26. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2122. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
27. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2124. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
28. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2127. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
29. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2128. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

Introduction

Presented in Anthology Volume 23 are the chants for Holy Thursday shown in the manuscripts of Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze, and in Koridze's publications. These manuscripts are kept at the National Center of Manuscripts and the Folklore State Center.

The hymns of Holy Thursday included in the present volume are from 31 notated sources. They are:

Manuscripts from the National Center of Manuscripts:

- | | |
|--------------|----------|
| 1. H154-I | 12. Q680 |
| 2. H154-II | 13. Q683 |
| 3. H154-III | 14. Q685 |
| 4. H154-VIII | 15. Q686 |
| 5. H154-IX | 16. Q687 |
| 6. Q668 | 17. Q688 |
| 7. Q670 | 18. Q689 |
| 8. Q672 | 19. Q690 |
| 9. Q673 | 20. Q691 |
| 10. Q674 | 21. Q693 |
| 11. Q677 | |

Manuscripts from the Folklore State Center:

1. Khundadze, 2100
2. Khundadze, 2106
3. Khundadze, 2120
4. Khundadze, 2121
5. Khundadze, 2122
6. Khundadze, 2124
7. Khundadze, 2127
8. Khundadze, 2128

Notated Publications:

1. Koridze, 1899
2. Koridze, 1901

The chants of Holy Thursday are shown in these sources using various principles — in some places the hymns are grouped purposefully for this day, and in other locations, however, they have been notated or published among hymns for other days and services. Some of the hymns are fully notated in three voices, and others only have the first voice without the second and bass voice parts. There are also some chants that have survived in several variants, whereas others are preserved via a single variant.

All these chants have been gathered and put into the correct sequence by the editors according to the Triodion established in our Church's liturgical practice of the last few centuries. Moreover, when preparing the present score of the Holy Thursday service, it became the editors' objective that this collection be a continuation of the concept of the manuscripts or publications done by P. Koridze, the Karbelashvili brothers, E. Kereselidze, and R. Khundadze — those who saved Georgian chant — in particular all the chants for the services of Holy Thursday are shown in this volume: Small Compline,¹ Matins, First Hour, Vespers, and the Washing of the Feet.

Due to the special significance of the last three days of Holy Week — Holy Thursday, Great Friday, and Great Saturday — and with the intent to complete the services of these days from a liturgical and musical aesthetic standpoint, the anthology volumes dedicated to them reflect the tradition of conducting a service by fully chanting it. This is when all the liturgical texts were sung antiphonically by choirs, apart from the clerical prayers and Bible readings. To complete this task, it became necessary to arrange the chants not preserved in the notated manuscript to the original melodic sources indicated in the Triodion. First, it must be pointed out that most of these days' chants originating from the Middle Ages were notated by our holy and great ancestors in the 19th-20th centuries. Whereas in the case of a certain number of hymns not being notated, the melodic original sources to which the unscored Triodion hymns must be arranged to are found in the notated manuscripts. First, chants belonging to this group are the troparion verses of the canticles, which according to the centuries-long tradition, were chanted to the melodies of specific heirmois — or the poetic text of the troparia had to be set to the heirmos music using the contrafactum principle. Fortunately, the absolute majority of heirmois provided in the liturgical chant books at the turn of the 19th century were able to be transcribed into notation. They have already been published in many volumes of the anthology (there are especially many in Volumes 6-9, 11, and 14-17) and will also be printed in subsequent volumes.

Apart from the heirmois and their troparion verses, there are also other chants arranged with the contrafactum principle in the present volume. In such cases, the editors used the *msgavsi* (similar) melodic original source system abundantly indicated in the Triodion and other service books.

As it is known, all Christian liturgical music traditions of the Middle Ages were characterized by contrafactum compositional principles. These techniques were especially important for musical traditions having an oral or semi-oral method of transmission. The *msgavsi* tradition was introduced in Georgia via Byzantium. Using a different color of ink, the original melodic source was frequently indicated for this or that hymn in chant books — the name of a chant to which a poetic text's music must be sung. According to this tradition, the original source hymn was called an *automelon* (auto — stand-alone, melon — melody) in Greek, whereas a chant arranged to its melody was a *prosomoion* —

¹ Small Compline is held twice on Holy Thursday (with different chants) — once before Matins, whereas again after the Vesperal Liturgy. The full chants for both services are provided in the present volume.

*msgavsi*² or similar. In the Byzantine, as well as medieval Georgian, Serbian, Bulgarian, or Eastern Slavic traditions of various epochs, this system developed and changed; it was influenced by such factors as linguistic stresses, poetic text forms, the syllabic division of lines, the eight-tone system, liturgical chant genres, monody, polyphony, etc., with these factors functioning differently within it.

Today, the issue as to what connection was between the Greek *idiomelon*, *automelon*, and *prosomoion* and the same Georgian or Slavic phenomena needs to be studied further. For example, the term *tvit-samsgavso* (see Anth. V. 7:301) in the notated chant manuscripts, which is considered to be the Georgian equivalent of *automelon* in modern Georgian musicology. Moreover, there are frequent occurrences in chant books and in the Koridze-Kereselidze or Karbelashvili manuscripts when works having a *heirmos* or *troparion* tone from the eight-tone system are also labeled with *tvitkhmovani*. There are such examples in the current volume as well. All the indications of *tvitkhmovani* shown in the Triodion have been copied over to be reflected alongside chant titles. In such cases, it is unclear whether the unique *tvit-avaji* has something to do with the loss of ancient Georgian melodies and therefore, the use of common eight-tone melodies by chanters in later centuries, or with a confusion between the terms (*automelon* and *idiomelon*). It is possible the meaning of *tvitkhmovani* changed over the centuries and this term was ascribed to those chants sung with the *msgavsi* *contrafactum* technique. There is also a probability that in the beginning, *tvit-avaji* and *tvitkhmovani* were different terms. It is also possible to surmise that the term was translated into Georgian by the ancients, but *tvit-avaji* Greek chants were adapted to melodies of the Georgian eight-tone system and no new Georgian melodies were created. Either way, the term *tvitkhmovani* is translated everywhere as *idiomelon*, whereas the topic as to why it is this attributive, or what is implied beneath this term in relation to certain chants will be left open. To study the Georgian *tvitkhmovani* and *msgavsi* system, an intensive, comparative analysis of the ancient Georgian neumatic or "chreli"/melismatic chants and the notated manuscripts is required. It also must be taken into consideration that many things were lost when being transmitted orally or semi-orally and because of historical events in the Byzantine, as well as Georgian or Slavic chant practices, whereas many things different from the "theoretical ideal", the ancient traditional theory developed and surviving to the present day (someone might say that the musical diversity and richness delighting lovers, performers, or researchers of chant in Greece, Europe, or Georgia was also created through this).

Despite how we interpret the concepts of *tvitkhmovani* (*automelon* or *idiomelon*) and *msgavsi* and their manifestations in Georgian liturgical chant books, in the neumatic or notated chant heritage, one thing can be stated — fortunately, thanks to our great ancestors, the absolute majority of chants labeled as original source melodies of hymns in

² There are also the terms *tvit-khmovani* and *tvit-avaji* — the Greek equivalent is *idiomelon* (*idio* — unique, the only one, one's own, special; *melon* — melody). Such a chant that had a unique melody, was not part of the regular eight tone system, was not repeated elsewhere for singing other texts was called *tvit-khmovani*, this is its meaning. For example, there is a topic in Giorgi the Athonite's works demanding profound study as to what the relationship is between the Georgian *tvitkhmovani* and *tvit-avaji*, and the Greek *idiomelon* and *automelon*. Due to the peculiarities of the historical development of chant, the precise and exhaustive definition and content of these terms and their interrelationship, as well as their relationship to the eight tone and other chant genre systems have not been determined.

the chant books (the Triodion, Festal Menaion, Octoechos, Pentacostarion) have survived in notated form. It is really because of this fact that it became possible to notate all the hymns of Great Thursday, Friday, and Saturday that had been unscored in the 19th-20th centuries.

All such cases, naturally, are indicated in the footnotes to the score. Only one genre is not affected by this — the troparion verses for the canticles. Not a single troparion verse for the last three days of Holy Week is scored in the notated manuscripts, except for the troparion verses of Canticle 5 for Great Thursday Matins - #72 "The Wisdom of God" and #73 "The Master Shows to His Disciples" (the melodies for these hymns were notated by P. Koridze without the second and bass voices). Apart from these two, all the troparion verses have been arranged to the melodies of their heirmos by the editors, and due to the large number of such cases, this fact is no longer indicated in the footnotes.

There are a frequent number of occurrences in the notated manuscripts of Great Thursday hymns when only the first voice part is notated. For such chants, it is noted in all the footnotes that the second and bass voices have been arranged by the editors. A large share of this work has been done by Levan Veshapidze — sometimes using the compositional techniques characteristic of the ornamented style, and sometimes those for the plainchant style. Moreover, textural, harmonic structures customary to traditional music folklore are also used on an infrequent basis — clearly within context of the chant aesthetic.

* * *

The volume containing the complete service for Holy Thursday, as well as volumes 24-25 devoted to the service of Holy Friday, and subsequent anthology volumes dedicated to Great Saturday are based on the method described.

171 chants in all are printed in this volume, with a large part of them being published for the first time.

The hymns of other feast days and services shown in the sources listed above for Volume 23 will be printed in subsequent anthology volumes.

Postscripts or indications provided in the manuscripts have been copied into the footnotes without any changes apart from some terms redacted by the editors or outdated or incorrect forms and dialectic variants of words.

When referencing the pages of hymn sources in the footnotes, the page numbering³ of digitized manuscript photos from the Traditional Georgian Chant Manuscript Database Project is used.

While editing poetic texts, the editors relied upon the Triodion established in the practice of the past few centuries and the ancient Georgian manuscript A-603 (Kiknadze, 1982) of heirmos notated with neumes. Orthographic, syntactic, or semantic errors in the poetic texts of the notated hymns have been corrected according to these sources. Discrepancies discovered in the various sources of the poetic texts (ex. morphological)

³ <http://folk.gov.ge/baza/>

have not been indicated as this goes beyond our competencies and the scope and purpose of the anthology.

Like other volumes of the anthology, the manuscript versions of some chants, as well as their variants redacted according to modern-day liturgical requirements are printed in the present volume. Along with such occurrences, the "parallel" variants of some chants are also shown, which have been differentiated by the editors in the accidentals used, and accordingly, the harmonic colorings and modalities.

As the case with the other anthology volumes, editorial intervention in this book consists of changes in accidentals and corrections of obvious errors, with of course, the appropriate indications in the comments.

Readers and chanters will again be reminded that the division of hymns into phrases and verses (using commas, dotted bar lines, or solid bar lines to indicate caesuras) is the result of editorial intervention (because caesuras are primarily indicated by fermatas in the manuscripts or are not clearly marked). All musical and graphical symbols placed in parentheses (notes, accidentals, commas for caesuras, fermatas...) have been added by the editors and it is not obligatory to perform them. All such agogic and expressive indications written only in Georgian in the manuscripts have been paired with their corresponding international Italian equivalents.

Any other alterations to the original texts are reflected in the notes.

All chants, including those printed in the present volume are affected by the indications provided in the introductory letter to the anthology (see Anth. Vol. 1).

* * *

The subject matter of the Great Thursday service, the special events coming to pass on this day comprising Christ's redemptive mission — Judas' betrayal beginning on Holy Wednesday becoming more acute and turning into an actual act with a terrible outcome on Thursday; the disciples' washing of the feet by their divine pastor; the Last Supper full of mysticism and love; the establishment of the sacrament of Holy Communion, which is the very heart of the love between man and God, and in its own essence, is the eternal fulfillment of the mystery of Golgotha — when the Divine blood is spilled as humankind's lifegiving wine and the Divine body is broken through crucifixion and torment as redemptive bread for all people desiring goodness. Many unequalled masterpieces based on these themes have been composed in international classical music. It must be stated in praise and gratitude of those who helped Georgian chant survive to the present day that the divine mystery of Great Thursday is sensed in full force beyond the modest and austere beauty of hymns radiant with compassion and peace. These chants represent one of the most magnificent parts of the Georgian chant heritage. The creative aesthetic culmination of this heritage, however, are the hymns for Great Friday and Easter, concerning which nothing more will be spoken.

Svimon (Jiki) Jangulashvili

Works Cited and Published Scores (in Georgian)

1. H154-I — *Notebooks transcribed in Guria. The first 1, 2, 3, 4, 5. Heirmois.* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
2. H154-II — *Transcribed in Guria. Chants for the feast day of Peter and Paul, Dormition, Beheading of John the Baptist, Entrance into the Temple, Transfiguration, and Birth of the Theotokos. Funded by M. Sharadze and E. Kereselidze. Notebooks 9 and 10.* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
3. H154-III — *Chants for the Dormition of the Theotokos and Christmas, December 25. Transcribed in Guria, funded by M. Sharadze and E. Kereselidze.* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
4. H154-VIII — *Chants notated in Tbilisi, transcribed from A.K. [Aristovle Kutateladze], notebook 16 [chants for the major feast days and Holy Week].* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
5. H154-IX — *Alleluias in the eight tones (instead of "God is the Lord"); Vespers stichera in the eight tones. Transcribed in Guria. Funded by M. Sharadze and E. Kereselidze. Notebook 17.* Philimon Koridze's and E. Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
6. Q668 — *Score #3. Score for the chants of Great Lent.* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
7. Q670 — *Score #5. Score for funeral service chants. Score #5 (1893).* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
8. Q672 — *Vespers chants in the eight tones for the entire year.* Abbot Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
9. Q673 — *The Octoechos in the eight tones for the entire year.* Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
10. Q674 — *Three liturgical rites. Liturgy for hierarch.* Abbot Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
11. Q677 — *Book #2, Notebooks 1, 9, and 10 transcribed in Kutaisi. Arranged in three voices [chants for the Liturgy of John Chrysostom, funeral service, Liturgy of Basil the Great, and consecration of a priest].* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
12. Q680 — *Book #5. Transcribed in Kutaisi, Notebook #5. Arranged in three voices [chants for Great Lent and Holy Week].* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.

13. Q683 — *Book #8 [chants for Liturgy, Vespers, Matins, and feast days]*. Philimon Koridze's and Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
14. Q685 — *Book #10, notebooks #6, 7, and 14 transcribed in Guria [chants for Matins and Liturgy]*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
15. Q686 — *Book #11. Notebooks #11 and 16 transcribed in Guria [chants, the Passion service. Various other hymns]*. Manuscript by Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
16. Q687 — *Book #12 [Heirmois and various other chants]*. Ekvtime Kereselidze's and Razhden Khundadze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
17. Q688 — *Book #13 [chants for Vespers, Matins, and Liturgy]*. Ekvtime Kereselidze's and Razhden Khundadze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
18. Q689 — *Book #14, heirmos chants*. Abbot Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
19. Q690 — *Book #15. 15 notebooks are collated in this book, transcribed from Aristovle Kutateladze and copied by Philimon Koridze. Started in 1904, finished in 1905 [chants for the major feast days, Great Lent, and the Octoechos]*. Manuscript by Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
20. Q691 — *7 books are collected in this book #18-24. All the chants for 7 feast days: September 8, the Birth of the Theotokos; November 21, Entrance into the Temple; December 25, Christmas; June 29, feast day of Peter and Paul; August 15, the Dormition; August 29, the Beheading of John the Baptist; August 6, the Transfiguration*. Philimon Koridze's and Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
21. Q693 — *Book #26. Chants, heirmois, and Psalm prokeimena for the 12 major feast days and chants for Octoechos*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
22. Razhden Khundadze's Archive, manuscript #2100. Folklore State Center.
23. Razhden Khundadze's Archive, manuscript #2106. Folklore State Center.
24. Razhden Khundadze's Archive, manuscript #2120. Folklore State Center.
25. Razhden Khundadze's Archive, manuscript #2121. Folklore State Center.
26. Razhden Khundadze's Archive, manuscript #2122. Folklore State Center.
27. Razhden Khundadze's Archive, manuscript #2124. Folklore State Center.
28. Razhden Khundadze's Archive, manuscript #2127. Folklore State Center.
29. Razhden Khundadze's Archive, manuscript #2128. Folklore State Center.



ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია International transcription of the Georgian alphabet

Mkhedruli	Roman	IPA	Examples	Pronunciation Tips
ა	a	/a/	f <u>a</u> ther	open "ah" vowel sound
ბ	b	/b/	<u>b</u> less	
გ	g	/g/	<u>g</u> iven	
დ	d	/d/	<u>d</u> ay	
ე	e	/ɛ/	s <u>e</u> t	open "eh" vowel sound, between "wet" or "wait". Spanish or German "e".
ვ	v	/v/	<u>v</u> et	vat/twine/tuft - this sound is often "w" when it follows another consonant, or sometimes like "f" when between consonants
ზ	z	/z/	<u>z</u> enith	
თ	t	/t ^(h) /	<u>t</u> oday	
ი	i	/i/	<u>m</u> ee <u>t</u>	bright "ee" vowel sound
კ	k'	/k'/	<u>p</u> ick	non-aspirated "k" has no "h" breathiness in it. Slightly percussive
ლ	l	/l/	<u>l</u> ife	
მ	m	/m/	<u>m</u> entor	
ნ	n	/n/	<u>n</u> ew	
ო	o	/ɔ/	<u>g</u> o	round "oh" vowel sound
პ	p'	/p'/	<u>u</u> p <u>k</u> ee <u>p</u>	non-aspirated "p" has no breathy "h" sound in it
ჟ	zh	/z/	plea <u>s</u> ure	
რ	r	/r/	-	Rolled "r" behind the upper teeth.
ს	s	/s/	<u>s</u> ee	
ტ	t'	/t'/	si <u>t</u> com	non-aspirated "t"
უ	u	/u/	<u>r</u> oo <u>t</u>	pursed lips round "oo" vowel sound
ფ	p	/p ^(h) /	<u>p</u> ilgrim	soft "p" with plenty of "h" breathiness in it
ქ	k	/k ^(h) /	<u>c</u> all	soft "k" with plenty of "h" breathiness in it
ყ	gh	/ɣ/	Pa <u>r</u> is	Like French "r", produced in back of the throat at the same place as "g" but with friction like "kh". Not overly pronounced or audible
ყ	q	/q'/	-	Produced in the throat as a light glottal stop. Not overly pronounced or audible
შ	sh	/ʃ/	<u>s</u> hine	
ჩ	ch	/tʃ ^(h) /	<u>c</u> h <u>o</u> ose	
ც	ts	/ts ^(h) /	<u>s</u> ets	
ძ	dz	/dz/	<u>n</u> ods	
წ	ts'	/ts'/	s <u>i</u> ts near	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ts"
ჭ	ch'	/tʃ'/	<u>m</u> uch noise	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ch"
ხ	kh	/x/	Ba <u>ch</u>	As in Yiddish chutzpah, Scottish loch
ჯ	j	/dʒ/	<u>j</u> oy	
ჰ	h	/h/	<u>h</u> ymn	

© John A. Graham.

Modified from version in "The Transmission and Transcription of Georgian Liturgical Chant," Ph.D. dissertation (Princeton, 2015)



წმიდასა და დიდსა ხუთშაბათსა მცირესა სერობასა ზედა¹⁾

* * *

At Holy and Great Thursday Small Compline

1) „მარხვანი“: სერობასა უკვე ვიტყვით მცირესა და მას ზედა ვჰგალობთ სამ-საგალობელსა უფლისა ანდრეასა, დიდისა ხუთშაბათისასა, ხმა ზ.

1) The Triodion: We are now chanting Small Compline and the Three-Canticed Canon to the Lord by St. Andrew for Great Thursday, Tone 7.



სამ-საგალობელი უფლისა ანდრეასი, დიდისა ხუთშაბათისა, ხმა ზ
Three-Canticle Canon by St. Andrew, Great Thursday, Tone 7

1. რაჟამს ესმა მოსლვა შენი წინასწარმეტყველსა, ქრისტე¹⁾

ძლისპირი. გალობა დ. ხმა ზ

When The Prophet Heard of Your Coming

Heirmos. Canticle 4. Tone 7

2)

რა - ჟამს ეს - მა მო - სლვა შე - ნი წი - ნა - სწარ - მე - ტყველ -
რა - ჟამს ეს - მა მო - სლვა შე - ნი წი - ნა - სწარ - მე - ტყველ -
ra - zhams es - ma mo - slva she - ni ts'i - na - sts'ar - me - t'qvel -

სა, ქრის - ტე, გან - ჰკვირ - ვე - ბით ღა - ღად - ჰყო:
სა, ქრის - ტე, გან - ჰკვირ - ვე - ბით ღა - ღად - ჰყო:
sa, kris - t'e, gan - hk'vir - ve - bit gha - ghad - hqo:

1) ხელნაწერებიდან Q689:023v (ანთ., ტ. VIII:71, №34); ხუნდაძე, 2127:118.

2) ხელნაწერებში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

3) წვრილი შრიფტით მოცემულია განსხვავებული ხმათასვლა ხელნაწერიდან ხუნდაძე, 2127.

1) From the manuscripts Q689:023v (Anth. Vol. 8:71, #34); Khundadze, 2127:118.

2) In the original manuscripts, the chant is notated without accidentals in the key signature.

3) The voice leading from the manuscript Khundadze, 2127 is shown in the smaller script.



„მეს - მა მე სმე - ნა შე - ნი, უ - ფა - ლო,
„მეს - მა მე სმე - ნა შე - ნი, უ - ფა - ლო,
„mes - ma me sme - na she - ni, u - pa - lo,

რა - მე - თუ მო - ხვედ ქვე - ყა - ნად, რა - თა ა -
რა - მე - თუ მო - ხვედ ქვე - ყა - ნად, რა - თა ა -
ra - me - tu mo - khved kve - qa - nad, ra - ta a -

ცხოვნ - ნე დღეს ცხე - ბულ - ნი
ცხოვნ - ნე დღეს ცხე - ბულ - ნი
tskhovn - ne dghes tskhe - bul - ni

შენ - - - ნი!
შენ - - - ნი!
shen - - - ni!

1) ფრჩხილებში ჩასმული ალტერაციის ნიშნები ყველგან ჩვენი ჩამატებულია. მათი შესრულება სავალდებულო არაა.
1) All accidentals that appear in parentheses were added by the editors. They can be sung (or not sung) at will.



2. ქორმან მან დაგებულმან ¹⁾

დ ძლისპირის ა გარდასათქმელი. ხმა ზ

Today the Upper Room

The 1st troparion of Canticle 4. Tone 7

ქორ - მან მან და - გე - ბულ - მან დღეს მო - წა - ფი - თურთ

ქორ - მან მან და - გე - ბულ - მან დღეს მო - წა - ფი - თურთ

kor - man man da - ge - bul - man dghes mo - ts'a - pi - turt

შე - გი - წყნა - რა და მას ში - ნა სრულ - ჰყავ,

შე - გი - წყნა - რა და მას ში - ნა სრულ - ჰყავ,

she - gi - ts'qna - ra da mas shi - na srul - hqav,

მხსნე - ლო, სა - ი - დუმ - ლო - თა, ცხოვ - რე - ბი -

მხსნე - ლო, სა - ი - დუმ - ლო - თა, ცხოვ - რე - ბი -

mksne - lo, sa - i - dum - lo - ta, tskhov - re - bi -

1) წინამდებარე ტომში მოცემული ყველა გარდასათქმელი ჩვენი განყოფილია ხელნაწერებში მოცემულ ძლისპირთა მუსიკაზე, გარდა დიდი ხუთშაბათის ცისკრის V გალობის გადასათქმელებისა, რომლებიც სანოტო წყაროებში შემორჩენილია.

1) All the troparia shown in the present volume have been arranged by the editors to the music of irmois in the manuscripts, with the exception of the troparia for Canticle 5 of Holy Thursday Matins surviving in notated sources.



სა ჩვე - ნი - სა, საღმრ - თო ზა - დი - კი,
